საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/226 " 2 " ივლისი 2018 წ.

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

„საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2007 წლის 25 სექტემბრის №1/208-2007 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

1. „საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2007 წლის 25 სექტემბრის №1/208-2007 გადაწყვეტილებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და გადაწყვეტილებით დამტკიცებული „საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის“ მე-18 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 18. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს აქტების გამოქვეყნება

1. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებები საბჭოს ოფიციალურ ვებგვერდზე ქვეყნდება მისი მიღებიდან არაუგვიანეს 5 დღისა.

2. იუსტიციის უმაღლესი საბჭო უზრუნველყოფს საბჭოს გადაწყვეტილებების საბჭოს ოფიციალურ ვებგვერდზე კონსოლიდირებული სახით განთავსებას, შესაბამისი ცვლილების განხორციელებიდან არაუგვიანეს 14 დღისა.

3. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს აქტები, საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებელია გადაეგზავნოს შესაბამის სახელმწიფო ორგანოებსა და იმ პირებს, ვისაც ეს დოკუმენტი პერსონალურად ეხება.“.

2. ეს გადაწყვეტილება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

გიორგი მიქაუტაძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი